ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 09

24 ივნისი 2022 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2022 წლის 24 ივნისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.
სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე სიმონ ჭოლოკავა, მურად ბურჯანაძე, გვანცა გრძელიძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, გურამ ჩხეიძე, ზვიად გუმბერიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ნინო კვირიკაძე, ირაკლი გოგსაძე, მაკა მესხი, ზაზა ზივზივაძე, შადიმან გორგოძე, შალვა მშვილდაძე.
სულ: 22 საკრებულოს წევრი.
სხდომას არ ესწრებოდა: მაია კბილაშვილი, ვლადიმერ წიქორიძე, ჯუმბერ რობაქიძე, ნოდარ გიორგიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე.
ასევე სხდომას ესწრებოდნენ:
მუნიციპალიტეტის მერიიდან:
ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

აზა ნერგაძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი საკრებულოსთან ურთიერთობის საკითხებში;
საკრებულოს აპარატი:
ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.
ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.
ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.
თამთა ჯიხვაძე- საქართველოს პარლამენტის წერის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.
რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 საკრებულოს წევრმა.
სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა გურამი კიკნაველიძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელმაც საკრებულოს სხდომას წარუდგინა დღის წესრიგის საკითხები.

დღის წესრიგი

1.ა.(ა).ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ანგარიში: „2021-2022 სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული სასწავლი-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ“.

მომხს. ნინო რობაქიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

2.მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. დავით სვანიძე - მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი

3.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-2 კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ა.(ა).ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ანგარიში: „2021-2022 სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული სასწავლი-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ“.

სხდომაზე ანგარიში წარადგინა: **ნინო რობაქიძემ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.**

აზრი გამოთქვეს: ირინა ტყეშელაშვილმა, სიმონ ჭოლოკავამ, ალექსანდრე ფახურიძემ, მაკა მესხმა, ვლადიმერ მელაძემ, გურამი კიკნაველიძემ.

სიმონ ჭოლოკავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მან ყურადღება გაამახვილა მთის სოფლებში არსებული ბაღების პრობლემების გადაწყვეტაზე.

ალექსანდრე ფახურიძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, იგი შეეხო სოფელ ვარციხეში საბავშვო ბაღის ამორტიზირებული ფლიგელის შემდგომი დემონტაჟის ან რეკონსტრუქციის საკითხს.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი, „სამსახური ამჟამად გაერთიანების ხელმძღვანელობასთან ერთად მუშაობს საბავშვო ბაღებში საკადრო ოპტიმიზაციის საკითხებზე, რაც შეეხება გაერთიანების დაფინანსებას და გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვას, როგორც მან აღნიშნა, რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაზე ანგარიშის განხილვისა და შეფასების შესახებ გადაწყვეტილება სხდომას გააცნო: ამავე კომისიის თავმჯდომარემ **-ირინა ტყეშელაშვილმა**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N23 განკარგულება:გ-67.67221753 თარიღი:24/06/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2.მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომაზე წარმოადგინა: დავით სვანიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი.
აზრი გამოთქვეს: გია სახამბერიძემ, გიორგი კოტორეიშვილმა, კახა კოხოძემ.
საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიაზე საკითხის განხილვის თაობაზე დასკვნა და შეფასება სხდომას გააცნო: გვანცა გრძელიძემ-კომისიის თავმჯდომარემ

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N24 განკარგულება:გ-67.67221752 თარიღი:24/06/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-2 კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი და დანართი სხდომას გააცნო: **გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N25 განკარგულება:გ-67.67221751 თარიღი:24/06/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე